ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2775782

ნომერი: AR1429672

თარიღი : 05.08.2016

გაცემის თარიღი : 12.08.2016

გაცნობის თარიღი : 15.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ კვესაძე პ/ნ 01013013815
- ვარკეთილი3. 3ა მ/ნი. 342 კ. 37ბ.

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ:

1. ვინაიდან წარმოდგენილი კორექტირებული ესკიზური ნახაზით ირკვევა, რომ კიბის საფეხური და კიბის ორივე გვერდით მხარეს ბაქანი სცდება საკადასტრო საზღვრებს და ეწყობა თვითმმართველი მერთეულის მიწის ნაკვეთზე, წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს თანხმობა. წინააღმდეგ შმთხვევაში აღნიშნული მოეწყოს მხოლოდ თქვენს საკადასტრო საზღვრებში;
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 06.01.2014 წ. 41-ე დადგენილების თავი II, მუხლი 3, პ. 2-3-4-ის თანახმად:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ ყველა საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობებში თავისუფლად მოხვედრის საშუალება.
ბ) შენობა-ნაგებობებში შესასვლელად მოწყობილი უნდა იყოს პანდუსი ან ელექტრომექანიკური ამწე-შესასვლელი ბაქანი, კარგად განათებული და დაცული ატმოსფერული ნალექებისაგან. შესასვლელებში მოწყობილი პანდუსის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 1,0 მეტრისა. ეტლის მოტრიალებისა და ფეხით მოსიარულეთა დასვენების ბაქანი უნდა იყოს ჰორიზონტალური პანდუსის სიგანისა და სიგრძით: სწორხაზოვან პანდუსზე არანაკლებ 1,0 მეტრისა, ხოლო სპირალისებურ პანდუსზე - არანაკლებ 2,0 მეტრისა.
გ) პანდუსის გრძივი მიმართულებით მოწყობილი შემაღლება უნდა იყოს სიგრძის 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში სიგრძის 8%). საფეხურები უნდა იყოს ყრუ, სწორი და ხორკლიანი ზედაპირით ამასთან გამონაშვერების გარეშე. საფეხურების განივ კიდეებში უნდა მოეწყოს 0,01 მეტრის შემაღლებები. კიბის ორივე მხარეს მოწყობილი მოაჯირების სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, ხოლო სიგრძე, მარშის სიგრძესთან შედარებით - 0,3 მეტრით მეტი ორივე მხარეს.

შესაბამისად ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შშმპ-ისათვის მოსაწყობია პანდუსი. გაითვალისწინეთ პანდუსი უნდა მოეწყოს თქვენს საკადასტრო საზღვრებში. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს თანხმობა.

ზემოარნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით, მათ შორის მიუთითეთ პანდუსის ზომები და დახრის პროცენტულობა.
3. ესკიზურ ფასადებზე დაიტანეთ საკადასტრო საზღვრები
4. მეტი თვალსაჩინოებისათვის ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობის დატანით.

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.